საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№ 2238 2019 წლის 24 ოქტომბერი ქ. თბილისი

„რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა („KfW"), მაინის ფრანკფურტი, და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მსესხებელი"), შორის სასესხო შეთანხმების (პოლიტიკაზე დაფუძნებული სესხი II)" საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენისა და მომხსენებლებად გ. კაკაურიძისა და ნ. გაგუას დანიშვნის შესახებ

1. „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 2^4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს რატიფიცირებისათვის წარედგინოს „რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა („KfW"), მაინის ფრანკფურტი, და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მსესხებელი"), შორის სასესხო შეთანხმება (პოლიტიკაზე დაფუძნებული სესხი II)".

2. „საპარლამენტო მდივნის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენილ ამ განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნულ სასესხო შეთანხმებაზე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლებად დაინიშნონ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეები: გიორგი კაკაურიძე და ნიკოლოზ გაგუა.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**